

შპს „პრესტიჟი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები.....	10
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	16
5. ამონაგები	17
6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	17
7. გაყიდვის და კომერციული ხარჯები	17
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	18
9. ძირითადი საშუალებები.....	19
10. საინვესტიციო ქონება	20
11. იჯარისთვის გადახდილი ავანსები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
12. მარაგები	21
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
14. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება, მოგების გადასახადის ხარჯი	21
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	22
16. საგადასახადო ვალდებულებები	22
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	22
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23
19. პირობითი ვალდებულებები.....	23

მმართველობის ანგარიშგება.....	25
-------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პრესტიჟის“ ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

აუდიტორის მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „პრესტიჟის“ (შემდეგში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გეჭონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასა და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი საღრიცხო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და არსებობს თუ არა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს კომპანიის შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავრწმუნდით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებული ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე და თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არის შეუსაბამო, გავცეთ მოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე


ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:



თამარ სუმბაძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი # SARAS-A-966804)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

14 აგვისტო, 2025 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პრესტიჟის“ ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

აუდიტორის მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „პრესტიჟის“ (შემდეგში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და არსებობს თუ არა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს კომპანიის შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავრწმუნდით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებული ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე და თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არის შეუსაბამო, გავცეთ მოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

თამარ სუმბაძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი # **SARAS-A-966804**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

14 აგვისტო, 2025 წელი

შპს „პრესტიჟი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	70,167	58,910
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(33,990)	(26,511)
საერთო მოგება		36,177	32,399
სხვა შემოსავალი		310	273
გაყიდვის და კომერციული ხარჯები	7	(20,406)	(16,191)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,157)	(3,809)
სხვა ხარჯები		-	(198)
საოპერაციო მოგება		11,924	12,474
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილება	10	-	172
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)		(72)	(140)
წმინდა ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(43)	(182)
მოგება დაბეგვრამდე		11,809	12,324
მოგების გადასახადის ხარჯი	14	(1,325)	(1,219)
წმინდა მოგება		10,484	11,105
სხვა სრული შემოსავალი:			
ნამეტი ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან	9	-	146
მთლიანი სრული შემოსავალი		10,484	11,251


2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



მაია კაჰალაშვილი

მთავარი ბუღალტერი



თეა ხარჩილავა

შპს „პრესტიჟი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	70,167	58,910
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(33,990)	(26,511)
საერთო მოგება		36,177	32,399
სხვა შემოსავალი		310	273
გაყიდვის და კომერციული ხარჯები	7	(20,406)	(16,191)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,157)	(3,809)
სხვა ხარჯები		-	(198)
საოპერაციო მოგება		11,924	12,474
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილება	10	-	172
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)		(72)	(140)
წმინდა ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(43)	(182)
მოგება დაბეგვრამდე		11,809	12,324
მოგების გადასახადის ხარჯი	14	(1,325)	(1,219)
წმინდა მოგება		10,484	11,105
სხვა სრული შემოსავალი:			
ნამეტი ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან	9	-	146
მთლიანი სრული შემოსავალი		10,484	11,251

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ მაია პაპალაშვილი

მთავარი ბუღალტერი _____ თეა ხარჩილავა

შპს „პრესტიჟი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	9,342	7,601
საინვესტიციო ქონება	10	-	1,829
არამატერიალური აქტივები		142	123
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	9	627	465
იჯარისთვის გადახდილი ავანსები	11	339	134
		10,450	10,152
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	13,471	13,360
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	2,410	1,697
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	6,561	5,140
		22,442	20,197
სულ აქტივები		32,892	30,349
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	42	42
გაუნაწილებელი მოგება	14	19,519	16,504
გადაფასების ნამეტი		2,259	2,300
		21,820	18,846
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	8,868	9,930
საგადასახადო ვალდებულებები	16	2,204	1,573
		11,072	11,503
სულ ვალდებულებები		11,072	11,503
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		32,892	30,349

10 - 24 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პრესტიჟი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების ნამეტი	ჯამი
31 დეკემბერი 2022	42	12,265	2,195	14,502
გამოცხადებული დივიდენდები	-	(6,907)	-	(6,907)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	11,105	146	11,251
გადაფასების ნამეტის გადატანა	-	41	(41)	-
31 დეკემბერი 2023	42	16,504	2,300	18,846
გამოცხადებული დივიდენდები	-	(7,510)	-	(7,510)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	10,484	-	10,484
გადაფასების ნამეტის გადატანა	-	41	(41)	-
31 დეკემბერი 2024	42	19,519	2,259	21,820

10 - 24 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პრესტიჟი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	11,809	12,324
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	726	665
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული ზარალი	14	29
წმინდა ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)	72	140
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილება	-	(172)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	355	264
წმინდა (მოგება) ზარალი საკურსო სხვაობიდან	43	182
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	13,019	13,432
მომართა საბრუნავ საშუალებებში:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ზრდა) შემცირება	(921)	(230)
მარაგების ზრდა	(466)	(5,230)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება) ზრდა	69	3,934
საგადასახადო ვალდებულებების (შემცირება) ზრდა	631	(21)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, დაბეგვრამდე და გადახდილ ფინანსურ ხარჯამდე	12,332	11,885
გადახდილი პროცენტები	(89)	(68)
მიღებული პროცენტი მიმდინარე ანგარიშებზე	17	-
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,325)	(1,219)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	10,935	10,598
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(2,139)	(821)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	123	50
საინვესტიციო ქონების რეალიზაცია	1,829	-
არამატერიალური აქტივები შესყიდვა	(19)	(50)
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	(627)	(465)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(833)	(1,286)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
მიღებული სესხები	(26,273)	15,824
სესხების დაფარვა	26,254	(17,450)
გადახდილი დივიდენდები	(8,563)	(5,907)
ფინანსური საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(8,582)	(7,533)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა	1,520	1,779
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	5,140	3,345
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ნაშთებზე	(99)	16
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	6,561	5,140

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „პრესტიჟი“ საიდენტიფიკაციო ნომრით - 205038252 (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2004 წლის ივლისში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, პ. სარაჯიშვილის ქ. 17ა.

კომპანია ბაზარზე მოღვაწეობს "ისი პარის" სავაჭრო მარკით. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კოსმეტიკური და პარფიუმერული პროდუქტით საცალო და საბითუმო ვაჭრობა. ისი პარის მაღაზიებში 150-ზე მეტი პარფიუმერული სახელია წარმოდგენილი: Chanel, Sisley, Shiseido, Ysl, Lancome, Cartier, Hermes, Bvlgari, Narciso Rodriguez, Elie Saab, Marc Jacobs, Chloe, Gucci, Dolce & Gabbana, Burberry, J.P. Gaultier, I. Miyake, C. Herrera, Versace, Davidoff, CK და სხვა.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ისი პარის მაღაზიათა ქსელი წარმოდგენილია 20 გაყიდვების წერტილით საქართველოში.

კომპანიის გენერალური დირექტორია ქალბატონი მაია პაპალაშვილი.

კომპანიის მფლობელები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	წილის ოდენობა
პაატა გიგაური	25%
გიორგი მედულაშვილი	25%
დავით მედულაშვილი	25%
ნინო ალიბეგაშვილი	25%
	100%

კომპანია ფლობს 33,34% იან წილს შპს „ამფორაში“ (ერთობლივად კონტროლირებადი საწარმო), რომელმაც 2020 წელს შეწყვიტა ძირითადი საქმიანობა. ინვესტიციის ღირებულება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის ნულის ტოლი, ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს ზარალის გამო.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ათას ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა საინვესტიციო ქონების და ძირითად საშუალებებში წარდგენილი შენობებისა და მიწების, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ საქმიანობა საქართველოში.

ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები გამოყენება ყველა წარდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვაგვარად არ არის განცხადებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ხდება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. სავაჭრო ვალდებულებები წარმოქმნილია ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და არ ერიცხება პროცენტი.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს. რომლებიც წარმოადგენს მოკლევადიან, მაღალ-ლიკვიდურ აქტივებს. მიმდინარე ანგარიშებზე კომპანია იღებს სარგებელს. დარიცხული სარგებელი წარდგენილია ფინანსურ შემოსავალში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად.

შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე, გარდა მიწებისა და შენობების რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და, შესაბამისად, აისახება სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს რემონტისა და აქტივის შეცვლის იმ დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივის სასიცოცხლო ვადას ან ზრდის მწარმოებლურობას. რემონტისა და შენახვის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზებადი ხარჯების კრიტერიუმებს, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ის გაიწევა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება ცვეთადი ღირებულებიდან, რომელიც არის აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები წრფივი მეთოდით კატეგორიების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	10-50
სატრანსპორტო საშუალებები	10-14
იჯარის კეთილმოწყობა	7
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-15
ოფისისა და მაღაზიის აღჭურვილობა	3-15
სხვა	10

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადაფასების ნამეტი წარდება სრულ შემოსავალში როგორც ძირითადი საშუალების გადაფასების ნამეტი. გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი წარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი. გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი აღიარდება სხვა. სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში გადაფასების რეზერვის სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

გადაფასების რეზერვი გადადის გაუნაწილებელ მოგებაზე კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების პროცესში. ასეთ შემთხვევაში გადატანილი ნამეტის თანხა იქნება სხვაობა აქტივის გადაფასებული ღირებულებიდან გაანგარიშებულ ცვეთის თანხასა და მისი თავდაპირველი თვითღირებულების მიხედვით გაანგარიშებულ ცვეთის თანხას შორის. გადაფასების ნამეტის თანხის გადატანა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე არ აისახება მოგებაში ან ზარალში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით. საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის საშუალო მდგომარეობაში მოსაყვანად. თავდაპირველი აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის თანხით.

2018 წლის 31 დეკემბრიდან კომპანია საინვესტიციო ქონების შემდგომი შეფასებისთვის იყენებდა რეალური ღირებულების მოდელს. რეალური ღირებულების ცვლილება წარდება მოგება ან ზარალში. 2024 წელს კომპანიამ გაყიდა საინვესტიციო ქონება.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით, საწყობების მიხედვით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების საკონტრაქტო ფასი ასევე მოიცავს ფასდათმობებსა და სარეკლამო ხარჯებს, მაგ. მაღაზიაში პროდუქციის სხვაზე უპირატესად განთავსების ხარჯები. კომპანია ამონაგებს აღიარებს ამ ხარჯების შემცირებული ღირებულებით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესვებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შემონატანების რეალური ღირებულებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია. კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება განსჯის შედეგად მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებელი გამოიყენება მოხმარების დროს. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მენეჯმენტი ნარჩენ მომსახურების ვადას განსაზღვრავს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და აფასებს რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე; და გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც გამომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებებისაგან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების რეზერვის დარიცხვა ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორიცაა კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, დეფოლტი, გადახდის პირობების მნიშვნელოვანი დარღვევა), რომ კომპანია ვერ მიიღებს თანხას მთლიანი მოცულობით, ხოლო რეზერვის თანხა წარმოადგენს წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაუფასურებული მოთხოვნის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. როდესაც დადასტურდება, რომ კომპანია ვერ მიიღებს მოთხოვნებში არსებულ თანხებს მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამის რეზერვთან.

შპს „პრესტიჟი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

5. ამონაგები

	2024	2023
სუნამოები	50,408	40,432
კანის მოვლის საშუალებები	11,920	11,887
კოსმეტიკა	6,437	5,695
სხვა	1,402	896
	70,167	58,910

ამონაგები რეალიზაციის ტიპების მიხედვით:

	2024	2023
საცალო რეალიზაცია	55,339	45,440
კორპორატიულ კლიენტებზე რეალიზაცია	13,769	12,638
ექსპორტით რეალიზაცია	1,059	832
	70,167	58,910

6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

	2024	2023
სუნამოები	(23,155)	(17,048)
კანის მოვლის საშუალებები	(5,511)	(5,377)
კოსმეტიკა	(3,216)	(2,673)
მომხმარებლებზე გადაცემული საჩუქრები	(1,442)	(1,014)
სხვა	(666)	(399)
	(33,990)	(26,511)

2024 და 2023 წლის განმავლობაში ჩამოიწერა 355 და 264 ათასი ლარის ღირებულების დაზიანებული და ვადაგასული მარაგები წლების შესაბამისად.

7. გაყიდვის და კომერციული ხარჯები

	2024	2023
ხელფასის ხარჯი	(10,099)	(7,788)
იჯარის ხარჯი	(4,641)	(3,692)
მარკეტინგისა და პრომოუშენის ხარჯები	(1,367)	(1,248)
სარეკლამო მასალის ხარჯი	(1,267)	(1,050)
ბანკის მომსახურების საკომისიო	(1,043)	(934)
ცვეთა და ამორტიზაცია	(623)	(569)
სხვა	(1,366)	(910)
	(20,406)	(16,191)

შპს „პრესტიჟი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ხელფასის ხარჯი	(2,811)	(2,278)
სამეურნეო ხარჯი	(345)	(357)
მივლინების ხარჯი	(155)	(170)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	(132)	(114)
საკომუნიკაციო ხარჯი	(125)	(83)
ბანკის საკომისიო	(123)	(167)
ცვეთა და ამორტიზაცია	(103)	(96)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(9)	(254)
სხვა	(354)	(290)
	(4,157)	(3,809)

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება განმარტებულია მე-17 შენიშვნაში.

შპს „პრესტიჟი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	მიწა	ოფისის აღჭურვილობა	იჯარის კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	აგეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა*	სულ
31 დეკემბერი 2022	2,679	1,394	978	1,925	214	2,460	281	-	9,931
შესყიდვა	7	-	155	278	109	271	-	-	820
გადაფასების ნამეტი	245	(264)	-	-	-	-	-	-	(19)
გასვლა	-	-	-	(53)	(48)	(71)	(76)	-	(248)
31 დეკემბერი 2023	2,931	1,130	1,133	2,150	275	2,660	205	-	10,484
შესყიდვა	-	-	83	803	-	461	-	1,257	2,604
გასვლა	-	-	(106)	(106)	(13)	(440)	-	-	(665)
31 დეკემბერი 2024	2,931	1,130	1,110	2,847	262	2,681	205	1,257	12,423
დაგროვილი ცვეთა									
31 დეკემბერი 2022	(81)	-	(615)	(609)	(90)	(1,010)	(160)	-	(2,565)
ცვეთა	(85)	-	(106)	(181)	(26)	(247)	(20)	-	(665)
გადაფასების ნამეტი	166	-	-	-	-	-	-	-	166
გასვლა	-	-	-	53	47	10	71	-	181
31 დეკემბერი 2023	-	-	(721)	(737)	(69)	(1,247)	(109)	-	(2,883)
ცვეთა	(112)	-	(117)	(218)	(27)	(232)	(20)	-	(726)
გასვლა	-	-	79	77	8	364	-	-	528
31 დეკემბერი 2024	(112)	-	(759)	(878)	(88)	(1,115)	(129)	-	(3,081)
ნეტო საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2023	2,931	1,130	412	1,413	206	1,413	96	-	7,601
31 დეკემბერი 2024	2,819	1,130	351	1,969	174	1,566	76	1,257	9,342

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფილია გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება 700,000 ევროს და 1,000,000 ლარის ათვისების ლიმიტით, აგრეთვე 400,000 ევროს მოცულობის საგარანტიო ხელშეკრულება. ზემოთ ნახსენები საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებების ფარგლებში კომპანიას 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხი არ უფიქსირდება.

კომპანიამ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეაფასა შენობები და მიწა. შეფასება მოხდა დამოუკიდებელი შემფასებლის Baker Tilly Georgia-ს მიერ, საბაზრო მიდგომის შესაბამისად. კომპანია რომ არ გადასულიყო გადაფასების მოდელზე თვითღირებულებით აღრიცხული შენობების და მიწების საბალანსო ღირებულება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნებოდა 1,621 ათასი და 1,652 ათასი ლარი, წლების შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გადახდილი ჰქონდა ავანსი 627 ათასი ლარის ოდენობით (2023 წლის 31 დეკემბერი: 465 ათასი ლარი). ობიექტების კეთილმოწყობისთვის საჭირო გრძელვადიანი აქტივების შესაძენად. შეძენა და მონტაჟის დასრულება იგეგმება 2025 წელს.

*დაუმთავრებელი მშენებლობა ასახავს იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის მიზნით გაწეულ დახარჯებს, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ კიდევ არ იყო ექსპლუატაციაში შესული. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, შესაბამისი ფილიალების ექსპლუატაციაში შეყვანა დაგეგმილია 2025 წელს.

10. საინვესტიციო ქონება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება წარმოდგენილი იყო ფალიაშვილის ქუჩა #17-ში მდებარე 298 კვ.მ. კომპანიას მთლიანი ფართის მნიშვნელოვანი ნაწილი გაქირავებული ჰქონდა (263.67 კვ.მ.) და 2023 წლის განმავლობაში მიიღო წლიური 30,508 ლარის საიჯარო შემოსავალი. 2024 წლის პირველ კვარტალში აღნიშნული ფართი გაიყიდა.

შეზღუდვები და ვალდებულებები

კომპანიას არ ჰქონია ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები საინვესტიციო ქონების შესყიდვაზე, მშენებლობაზე, რეკონსტრუქციაზე ან სარემონტო საექსპლუატაციო მომსახურებასთან თუ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

რეალური ღირებულებით შეფასება

საინვესტიციო ქონების ბოლო შეფასება გაკეთდა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ.

საინვესტიციო ქონების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა საბაზრო მეთოდი, რომელიც მოიცავს მსგავსი ქონების საბაზრო ფასების ანალიზს. შეფასება შესრულებულია დამოუკიდებელი და კვალიფიციური შემფასებლის მიერ, რომელსაც აქვს მსგავსი აქტივების შეფასების ბოლოდროინდელი გამოცდილება.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება, რეალური ღირებულების იერარქიის მე-2 დონით იყო შეფასებული.

	კომერციული ფართი
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	1,657
გადაფასების ნამეტი წარდგენილი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	172
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	1,829
საინვესტიციო ქონების გაყიდვა	(1,829)
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	-

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საინვესტიციო ქონებით უზრუნველყოფილი იყო გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება 700,000 ევროს და 1,000,000 ლარის ათვისების ლიმიტით, აგრეთვე 400,000 ევროს მოცულობის საგარანტიო ხელშეკრულებით. ზემოთ ნახსენები საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებების ფარგლებში კომპანიას 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხი არ უფიქსირდებოდა.

11. იჯარისთვის გადახდილი ავანსები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები		
იჯარისთვის გადახდილი ავანსები	339	134
	339	134
მოკლევადიანი ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,998	1,457
არაფინანსური აქტივები		
გაცემული ავანსები	412	240
	2,749	1,831

12. მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სუნამოები	7,243	7,460
სარეკლამო მასალები	1,983	1,797
კანის მოვლის საშუალებები	1,870	2,212
კოსმეტიკა	1,485	1,301
საქონელი გზაში	552	272
სხვა	338	318
	13,471	13,360

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული	70	151
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	6,332	4,471
ფული გზაში	159	518
	6,561	5,140

ფული გზაში სრულად წარმოდგენილია ტერმინალით რეალიზაციიდან შემოსული თანხებით, რომელიც ჯერ არ არის ასახული კომპანიის ანგარიშზე.

ფული და ფულის ეკვივალენტების ჩაშლა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული და ფულის ეკვივალენტები ლარში	3,463	5,124
ფული და ფულის ეკვივალენტები დოლარში	11	3
ფული და ფულის ეკვივალენტები ევროში	3,087	13
	6,561	5,140

14. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება, მოგების გადასახადის ხარჯი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 42,400 ლარს. დამფუძნებელთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით, 2024 წელს გამოცხადდა დივიდენდი 7,510 ლარის ოდენობით (2023: 6,907 ლარი). დივიდენდის სახით განაწილებულ დაგროვილ მოგებაზე დარიცხული გადასახდელი მოგების გადასახადი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024	2023
გამოცხადებული დივიდენდი	7,510	6,907
გადასახდელი მოგების გადასახადი	1,325	1,219
მოგების გადასახადის ხარჯი	1,325	1,219

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ვალდებულებები შეფასებული ამორტიზირებადი ღირებულებით		
სავაჭრო ვალდებულებები	4,708	5,481
სახელფასო ვალდებულებები	1,743	1,359
გადასახდელი დივიდენდები	-	1,053
	6,451	7,893
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები*	2,417	2,037
	8,868	9,930

* მიღებული ავანსების ნაშთი სრულად წარმოდგენილია სასაჩუქრე ვაუჩერების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოკლევადიანია და მათი საბალანსო ღირებულება შეესაბამება რეალურ ღირებულებას.

16. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას ნეტო ღირებულებით, თანხით 2,204 ათასი ლარი (ვალდებულება) და 1,573 ათასი ლარი (ვალდებულება).

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
გრძელვადიანი აქტივისთვის გადახდილი ავანსები	417	417
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	69
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
შემოსავლები	53	53
სხვა შემოსავალი	8	8

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დამფუძნებლები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
გრძელვადიანი აქტივისთვის გადახდილი ავანსები	-	221	221
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,053	-	1,053
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
შემოსავლები	-	53	53
სხვა შემოსავალი	-	31	31

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის უმაღლეს ხელმძღვანელობაზე დარიცხული იყო შემდეგი ანაზღაურება და წარმოდგენილი იყო ვალდებულების ნაშთი:

	2024	2023
უმაღლესი ხელმძღვანელი პირების მოკლევადიანი გასამრჯელო	1,001	757
უმაღლესი ხელმძღვანელი პირების მიმართ არსებული მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულება	69	53

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით კომპანიამ მფლობელებზე გამოაცხადა დივიდენდი 5,091 ათასი ლარის ოდენობით.

2025 წლის იანვარში შევიდა ცვლილება საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებაში და განახლებული საკრედიტო ლიმიტის მოცულობად ჩამოყალიბდა 1,000 ათასი ევრო (ნაცვლად არსებული 700 ათასი ევროსი). 2025 წლის ივლისში კვლავ შევიდა ცვლილება საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებაში და განახლებული საკრედიტო ლიმიტის მოცულობად ჩამოყალიბდა 1,600 ათასი ევრო (ნაცვლად არსებული 1,000 ათასი ევროსი) და 1,500 ათასი ლარი (ნაცვლად არსებული 1,000 ათასი ლარისა).

19. პირობითი ვალდებულებები

შეუქცევადი საოპერაციო იჯარა

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანიას აქვს იჯარით აღებული მაღაზიები საოპერაციო საქმიანობისთვის. იჯარები არის საოპერაციო. კომპანიას წლის ბოლოს ჰქონდა შემდეგი ვალდებულებები შეუქცევადი საოპერაციო იჯარებისთვის:

	2024	2023
ერთი წლის განმავლობაში	4,837	3,055
ორი-ხუთი წლის განმავლობაში	12,619	6,571
ხუთი წლის შემდეგ	6,122	-
	23,578	9,626

საკრედიტო ხაზი და გარანტია

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტთან გაფორმებული აქვს გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება 700,000 ევროს და 1,000,000 ლარის ათვისების ლიმიტით, აგრეთვე 400,000 ევროს მოცულობის საგარანტო ხელშეკრულება. აღნიშნული საკრედიტო ხაზის და გარანტიის უზრუნველსაყოფად კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება და საინვესტიციო ქონება დატვირთულია იპოთეკით. სესხი დამატებით უზრუნველყოფილია გიორგი მედულაშვილის, დავით მედულაშვილის, პაატა გიგაურისა და ლევან მარგველაშვილის პირადი თავდებობით. აღნიშნული ფინანსური გარანტიის კონტრაქტთან დაკავშირებით კომპანიას არ გაუკეთებია ნაშთების კორექტირება, არაარსებობიდან გამომდინარე.

ზემოთ ნახსენები საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებების ფარგლებში კომპანიას 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხი არ უფიქსირდება.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება. პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, განაწილებული დივიდენდების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 2,928 ათასი ლარი.

შპს „პრესტიჟი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა.....	27
ბიზნეს მოდელი და საცალო გაყიდვების ცენტრები.....	27
ბაზარზე პოზიციონირება და კონკურენცია.....	28
სამომავლო განვითარების გეგმები.....	28
კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	29
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	29
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....	30
ძირითადი კოეფიციენტების ანალიზი.....	30
კადრების მართვა და ანაზღაურების სისტემა.....	31
გარემოს დაცვის საკითხები.....	32
რისკების მართვა	32

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „პრესტიჟი“ 20 წელია ახდენს პარფიუმერული და კოსმეტიკური ნაწარმის საცალო და საბითუმო რეალიზაციას საქართველოში. კომპანია ბაზარზე მოღვაწეობს "ისი პარის" სავაჭრო ნიშნით. საცალო გაყიდვების ბაზარზე კომპანია ერთ-ერთი ლიდერია საქართველოში, როგორც ფინანსური ისე რაოდენობრივი მახასიათებლებით. პარფიუმერულ დარგში დიდი ხნის განმავლობაში ბიზნესის წარმოებამ კომპანიას საშუალება მისცა დაემყარებინა განსაკუთრებული ურთიერთობები მსოფლიოს წამყვან საერთაშორისო პარფიუმერულ კომპანიებთან, რაც კომპანიის საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

ქსელში წარმოდგენილია შემდეგი ბრენდები: CHANEL, THE MERCHANT OF VENICE, BVLGARI, HERMES, COACH, DUPONT, MONTBLANCH, CARTYER, SISLEY, BOGART, TED LAPIDUS, CHEVIGNON, NAF NAF, CARVEN, CORANIA, BOSS, BURBERRY, C. KLEIN, CHLOE, DAVIDOFF, ESKADA, GUCCI, LACOSTE, LANCASTER, MARK JACOBS, ROBERTO CAVALLI, STELLA MCCARTNEY, TIFFANI, BOTEGA VENETA, SHISEIDO, D&G, ELIE SAAB, ISSEY MIYAKE, NARCISO RODRIGUEZ, ZADIC & VOLTAIRE, PUPA, P. RABANE, PRADA, C. HERRERA, J. P. GAULTIER, NINARICCI, BENETTON, KILIAN, FM, TOM FORD, SERGE LUTENS, TIZIANA, MFK, BOTTEGA VENETA, JIMMY CHOO, MORPH, HISTOIRES DE PARFUMS BANDERAS, AVENE, KLORANE, CHOPARD, FILIPPLEIN, FURLA, ZIPPO, DSQUARED2, MISSONI, MOSCHINO, VERSACHE, JEANNE PIAUBERT, ARMANI, LANKOME, MUGLER, YSL, VALENTINO და ა.შ.

კომპანია „ისი პარი“ პარფიუმერულ დარგში ერთ-ერთი გამოცდილი და მომხმარებელზე ორიენტირებული ქსელია, რომელიც მუდამ ცდილობს სიახლე შემოიტანოს ბაზარზე და მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნები და სურვილები. კომპანია მუდმივად ცდილობს მომხმარებლებს შესთავაზოს ის სიახლეები რაც იკვეთება მსოფლიო ბაზარზე.

კომპანია ახდენს საბითუმო რეალიზაციებს როგორც უშუალო კონკურენტებთან, ისე სხვა საცალო სავაჭრო ქსელებთან. საბითუმო რეალიზაციების მნიშვნელოვანი წილი მოდის შპს „ივერია ფრანსთან“, შპს „სტაილთან“, ასევე, სააფთიაქო ქსელებთან როგორცაა შპს „გეფა“, „პსპ ფარმა“, „ავერსი ფარმა“ და ა.შ. ძირითადად კოსმეტიკური და პარაფარმაციული საშუალებების სახით.

ბიზნესი მოდელი და საცალო გაყიდვების ცენტრები

ისი პარის მაღაზიათა ქსელი წარმოდგენილია 20 საცალო გაყიდვების წერტილით საქართველოში. აქედან 14 თბილისში, 6 რეგიონში.

კომპანია საცალო მაღაზიების გახსნაზე, მის მოცულობას და წარმოდგენილი პროდუქტის ასორტიმენტზე გადაწყვეტილების მიღებამდე ახდენს გარკვეულ მარკეტინგულ კვლევას. ასეთი კვლევების შედეგად დღეის მდგომარეობით კომპანიის საცალო ქსელი წარმოდგენილია:

- თბილისში 13 „ისი პარის“ მაღაზიით, სადაც კომპანიის პორტფოლიოში არსებული ყველა ბრენდია წარმოდგენილი.
- რეგიონებში - ბათუმში (2 მაღაზია), რუსთავეში, ქუთაისში, თელავში, ზუგდიდსა და გორში კომპანიას წარმოდგენილი აქვს დიდი ზომის მაღაზიები, სადაც ევროპის წამყვანი ბრენდების პროდუქციაა წარმოდგენილი.

დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით მაღაზიებს მართავენ მენეჯერები, რომლებიც თავის მხრივ ექვემდებარებიან გენერალურ დირექტორს და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს, როგორცაა საკადრო განყოფილების უფროსი, ქსელის მენეჯერი, კომერციული მართვის ხელმძღვანელი და ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსი.

კომპანია მუდმივად აანალიზებს ბაზართან მიმართებაში მაღაზიის მდგომარეობას, არეალს, სადაც მაღაზიაა წარმოდგენილი და თუ ამის საჭიროება არსებობს, ახდენს გაყიდვების წერტილის განახლებას, გაფართოვებას და ასორტიმენტის გაზრდას. კომპანიამ 2024 წლის მარტის თვეში გახსნა ობიექტი გორი მოლის სავაჭრო ცენტრში, 2024 წლის მარტის თვეში დაიკეტა რუსთაველის #1-ში მდებარე ობიექტი, ასევე საფუძველი ჩაეყარა ამავე ტერიტორიაზე ახალი გრანდიოზული ობიექტის გარემონტებას, რომლის გახსნაც განხორციელდა 2024 წლის ნოემბრის თვეში, რომელშიც ყველა წამყვანი ბრენდია წარმოდგენილი.

2024 წელს კომპანიამ ასევე გაარემონტა და უზრუნველყო სასაწყობო ფართის კეთილმოწყობა.

ბიზნეს მოდელი და საცალო გაყიდვების ცენტრები (გაგრძელება)

2025 წლის აპრილის თვეში კომპანიამ საფუძველი ჩაუყარა ბათუმში ახალ ლოკაციაზე ობიექტის გარემონტებას და ივლისის თვიდან უკვე სრულად განახლებული ახალი ობიექტი ფუნქციონირებს.

ვაკეში, ჭავჭავაძის 60-ში არსებულ ობიექტზე 2025 წლის ოქტომბრის თვეში იგეგმება ნიშ-პარფიუმერიის ახალი ქსელის „არტ ინ სენტ“-ის პირველი ფილიალის გახსნა, სადაც წარმოდგენილი იქნება ისი პარის ასორტიმენტისგან სრულად განსხვავებული პროდუქცია და სერვისი.

ბათუმში ასევე იგეგმება „არტ ინ სენტ“-ის მეორე ობიექტის გახსნა, იგივე ლოკაციაზე - კობალაძის #2.


2025 წლის აპრილის თვეში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ახალ სავაჭრო ცენტ „ისთ პოინტ“-ში ობიექტის გახსნას. ასევე, იგეგმება ახალ თელავი მოლში და გლდანის მოლში ობიექტის გახსნა.

მაღალი ხარისხის თანამედროვე პროდუქციასთან ერთად, საცალო გაყიდვების წერტილებს, მათ გარეგნულ იერსახეს, ადგილმდებარეობას, თანამშრომელთა კვალიფიკაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კომპანიისთვის, რადგან აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ბიზნესის წარმატებას.

ბაზარზე პოზიციონირება და კონკურენცია

კომპანია ორიენტირებულია შეინარჩუნოს წამყვანი ადგილი კონკურენტულ გარემოში და დღემდე ამას წარმატებით ახერხებს.

„ისი პარი“- საქართველოში პარფიუმერული და კოსმეტიკური ნაწარმის ვაჭრობის სფეროში არსებული ყველაზე დიდი მაღაზიათა ქსელია.



წყარო: www.lutecia.ge, www.voulez-vous.ge

როგორც გრაფიკიდან ჩანს, შპს „პრესტიჟი“ სავაჭრო ნიშნით „ისი პარი“ საქართველოში, პარფიუმერული და კოსმეტიკური ნაწარმის ვაჭრობის სფეროში არსებული ყველაზე დიდი მაღაზიათა ქსელია.

შპს „პრესტიჟს“ ასევე პარტნიორული ურთიერთობები აქვს ჩამოყალიბებული ზემოაღნიშნულ კონკურენტებთან. ხდება სხვადასხვა ასორტიმენტის ურთიერთ გაყიდვა.

სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანია ორიენტირებულია ბიზნესის მუდმივ განვითარებაზე. კომპანიის მმართველობის შეხედულებით, ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელია:

1. საცალო გაყიდვების ქსელის პერიოდული გაფართოვება
2. ასორტიმენტის პერიოდული განახლება
3. გაყიდვებში ჩართული თანამშრომლების მუდმივი გადამზადება

„ისი პარი“ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 20 მაღაზიით იყო წარმოდგენილი თბილისსა და რეგიონში, თუმცა კომპანია ორიენტირებულია კიდევ უფრო განავითაროს ქსელი და მოიცვას საქართველოს ყველა ასათვისებელი რეგიონი, სადაც ხედავს პოტენციალს;

სამომავლო განვითარების გეგმები (გაგრძელება)

ახალი ბრენდების შემოყვანა საქართველოს ბაზარზე - ბაზრისა და საკუთარი მაღაზიების ანალიზის გზით კომპანია ახდენს ისეთი პროდუქტების იდენტიფიცირებას, რომელიც აკლია ასორტიმენტს და ამის საფუძველზე გეგმავს ბრენდების მოძიებას მომხმარებელთა ყველა კატეგორიისთვის. კომპანია საჭიროების იდენტიფიცირებას ახდენს მომხმარებლების მოთხოვნებიდან და საერთაშორისო ბაზრებზე არსებული სიახლეებიდან გამომდინარე.

ყოველწლიურად კომპანიის ხელმძღვანელობა ესწრება საერთაშორისო გამოფენას კანში, სადაც სხვადასხვა მსოფლიო დონის ბრენდები ახდენენ სიახლეების პრეზენტაციას, ასევე ესწრება მილანში გამოფენებს. 2024 წელს კომპანიამ ქართულ ბაზარზე შემოიტანა ახალი ბრენდები, როგორიცაა : KILIAN, FM, TOM FORD, SERGE LUTENS, TIZIANA, MFK, BOTTEGA VENETA, JIMMY CHOO, MORPH, HISTOIRES DE PARFUMS, TOMMY HILFIGER, JIMMY CHOO, KARL LAGERFELD, LANVIN, MONCLER, BOUCHERON.

2025 წლის ნოემბერში იგეგმება ვაკის ტერიტორიაზე ახალი ობიექტის გახსნა, სადაც წარმოდგენილი იქნება მხოლოდ „ნიშური ბრენდის“ პროდუქცია, როგორიცაა - KILIAN, TOM FORD, L'ARTISAN, MARLY, ACQUA DI PARMA, DIPTYQUE, MEMO, SERGE LUTENS, TIZIANA.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ კომპანიამ ამავე დროს უარი თქვა სხვა ისეთი პროდუქტის შემოტანაზე, რომელზე მოთხოვნა ქართველი მომხმარებლის გემოვნური, საფასო თუ სხვა მიდრეკილებების გამო არ იქნებოდა წარმატებული.

სამომავლო გეგმები ამ ეტაპისთვის სრულ თანხვედრაშია კომპანიაში ბოლო პერიოდში დანერგილ მმართველობით სტრატეგიასთან. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იგეგმება.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს კომპანიას არ განუხორციელებია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოები.

კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ყველა კომპანიას ფუნქციონირებისათვის სჭირდება ფინანსები და ფინანსური მენეჯერის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად ამ ფინანსების გონივრული და ეფექტური გამოყენება.

ბიზნესის ფინანსური მაჩვენებლები მცისიერ ასახვას პოვენს კომპანიის კეთილდღეობაზე, ამიტომ მას აქვს როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი ეფექტიც. არაფინანსური მაჩვენებლები კი ძირითადად ორიენტირებულია გრძელვადიან კეთილდღეობაზე და მათი ეფექტი გრძელვადიან პერიოდში ასახვას პოვენს ფინანსურ მაჩვენებლებზე. ქვემოთ განვიხილავთ ორივე ტიპის მაჩვენებელს და აღვწერთ მათ ზეგავლენას ბიზნესზე.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შპს „პრესტიჟი“ 2017 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგებას ამზადებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს).

ცხრილი #2 (ათას ლარში)	2024	2023
წმინდა საბრუნავი კაპიტალი*	11,370	8,694
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,561	5,140
სულ აქტივები	32,892	30,349
სესხები	-	-
ვალდებულებები, სულ	11,072	11,502
საკუთარი კაპიტალი	21,820	18,846

*მოკლევადიანი აქტივები - (1-წლიანი სესხები + ვალდებულებები მომწოდებელთან + საგადასახადო ვალდებულებები)

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

როგორც ცხრილი #2-ში ვხედავთ, კომპანიას აქვს საკმაოდ კარგად დაკომპლექტებული საბრუნავი კაპიტალი. შესაძენვეია, რომ კომპანია სტაბილურად განაგრძობს ზრდას (იხ. ცხრილი #3).

ცხრილი #3 (ათას ლარში)	2024	2023
შემოსავალი	70,167	58,910
საერთო მოგება	36,177	32,399
EBITDA	12,650	13,140
წმინდა მოგება	10,484	11.105

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის კომპანია არ ფლობს არც საკუთარ და არც სხვა კომპანიის აქციებს.

ძირითადი კოეფიციენტების ანალიზი

კომპანიის წარმატებისთვის, გარდა პოტენციურად მომგებიანი პროექტების გამოვლენისა და განხორციელებისა, საჭიროა ყოველდღიური ოპერირება. საბრუნავი კაპიტალის სწორი მართვა, რომელიც მოიცავს: დებიტორული დავალიანების დროულად ამოღების უზრუნველყოფას, ვალდებულების დროულად დაფარვას და მარაგის მინიმალური და ეფექტური წარმოებისთვის შესაბამისი დონის შენახვას.

ცხრილ #4-ში მოცემულია პრესტიჟის 2024 წლის საბრუნავი კაპიტალის მონაცემების შედარება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემებთან.

კომპანიამ 2024 წელს გააუმჯობესა ფულადი სახსრების მართვა საბრუნავი კაპიტალის ოპტიმიზაციის მიზნით, კერძოდ, გააუმჯობესა დებიტორული დავალიანების ამოღების კოეფიციენტი, რაც გულისხმობს კლიენტებისგან მისაღები თანხების სწრაფად ამოღებას, აგრეთვე წინა წელთან შედარებით მცირედით გაზარდა კრედიტორის დაფარვის დღეების მაჩვენებელი, თუმცა იმის ფონზე, რომ კონსიგნაციის ვადა გაიზარდა.

წინა პერიოდთან შედარებით შემცირებული მარაგების ბრუნვის დღეების რაოდენობა, აგრეთვე, მიზნად ისახავს მაღალი მოთხოვნის პერიოდებისთვის წინასწარ შეინარჩუნოს მარაგების დამაკმაყოფილებელი დონე.

შემცირებულია ფულის ბრუნვის ციკლი, რაც მიუთითებს, რომ კომპანია უპირატესობას ანიჭებს ბაზარზე პოზიციის ზრდასა და გრძელვადიან მომგებიანობაზე ზრუნვას.

ცხრილი #4	2024	2023
კრედიტორის დაფარვის დღე	55	53
დებიტორის დაფარვის დღე	9	10
მარაგის ბრუნვის დღე	144	150
ფულის ბრუნვის ციკლი	98	107

ძირითადი კოეფიციენტების ანალიზი (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის 2024 წლის მომგებიანობის კოეფიციენტების მონაცემების შედარება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემებთან:

ცხრილი #5	2024	2023
საერთო მოგების მარჟა	52 %	55 %
EBITDA მარჟა	18 %	22 %
აქტივების უკუგება (ROA)	32 %	37 %
კაპიტალის უკუგება (ROE)	52 %	67 %
ინვესტიციაზე უკუგება (ROCE)	54 %	65 %

როგორც ცხრილ #5-ში ჩანს, საერთო მოგების მარჟა შემცირებულია წინა წელთან შედარებით, რაც გამოწვეულია მომხმარებლისთვის სასარგებლო ხშირი შიდა და ასევე ბანკების სხვადასხვა აქციებში მონაწილეობით, რაც შეეხება დანარჩენ კოეფიციენტებს შემცირებულია ცხრილი #4-ში მოყვანილი მიზეზების გავლენით.

მაჩვენებლები დათვლილია შემდეგნაირად:

კრედიტორის დაფარვის დღე - საშუალო სავაჭრო ვალდებულებების მოცულობა შეფარდებული გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებასთან;

დებიტორის დაფარვის დღე - საშუალო სავაჭრო მოთხოვნების მოცულობა შეფარდებული ამონაგებთან;

მარაგის ბრუნვის დღე - საშუალო მარაგების მოცულობა შეფარდებული გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებასთან და გამრავლებული წლიური დღეების რაოდენობაზე;

ფულის ბრუნვის ციკლი - დებიტორის დაფარვის და მარაგის ბრუნვის დღეების ჯამი, შემცირებული კრედიტორის დაფარვის დღეებით;

საერთო მოგების მარჟა - საერთო მოგება შეფარდებული ამონაგებთან;

EBITDA მარჟა - საოპერაციო მოგება გაზრდილი პერიოდის ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯით;

აქტივების უკუგება (ROA) - წმინდა მოგება შეფარდებული მთლიან აქტივებთან;

კაპიტალის უკუგება (ROE) - წმინდა მოგება შეფარდებული კაპიტალის საშუალო მოცულობასთან;

ინვესტიციაზე უკუგება (ROCE) – EBIT/Capital Employed;

კადრების მართვა და ანაზღაურების სისტემა

სულ ორგანიზაციაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2024 წლისთვის იყო 351. აქედან ოფისის პერსონალი და ლოჯისტიკა 125, ხოლო კლიენტებთან ურთიერთობაში ჩართულია 226 თანამშრომელი.

ცხრილი #1	თანამშრომელთა რაოდენობა
უმაღლესი ხელმძღვანელობა	5
სულ თანამშრომლები	351

კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა კეთილდღეობაზე, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგებს სისტემატიურად ატარებენ როგორც ადგილობრივი ასევე მოწვეული უცხოელი სპეციალისტები, ასევე უტარდებათ საკვალიფიკაციო გამოცდები.

ხელმძღვანელობა მომავალშიც გეგმავს იზრუნოს კადრების კვალიფიკაციაზე და ამ მხრივ გამოყოს ადამიანური და ფინანსური რესურსი.

გარემოს დაცვის საკითხები

გარემოს დაცვის კუთხით კომპანიის საქმიანობა რისკის შემცველი არ არის. საჭიროების შემთხვევაში, კომპანიის მიერ იდენტიფიცირებული წუნდებული მარაგების განადგურება ხდება საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკისა და ჩვენი უცხოელი პარტნიორების რეკომენდაციების მიხედვით, ამ პროცესში ჩართული თანამშრომლებისთვის უსაფრთხოდ და გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე.

რისკების მართვა

ნებისმიერი ბიზნეს-საქმიანობა არის ფინანსური რისკის შემცველი. ამისგან არც შპს „პრესტიჟი“ არ არის გათავისუფლებული. თუმცა, კომპანია ცდილობს ისე მართოს სხვადასხვა საშიშროებები, რომ შეინარჩუნოს მმართველობის მიერ განსაზღვრული განვითარების მთავარი კურსი და ამასთან კომპანიამ მიიღოს მოგება.

ბიზნესის მთავარი რისკი არის სავალუტო რისკი, რაც გულისხმობს, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო.

კომპანიის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე. კერძოდ, კომპანიის მომწოდებლები ძირითადად ევროპული პარფიუმერული კომპანიებია, რომელთა საოპერაციო ვალუტა ევროშია. შპს „პრესტიჟის“ ფუნქციონალური ვალუტა ლარია, შესაბამისად, ბუნებრივად წარმოიშობა გაცვლითი კურსის მერყეობის რისკი. ასევე, კომპანიის სესხები წარმოდგენილია ევროში, რაც აღრმავებს სავალუტო რისკს, თუმცა კომპანიამ 2024 წლის დასაწყისშივე მთლიანად დაფარა სასესხო ვალდებულებები.

კომპანიის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად ცდილობს თავიდან აიცილოს სავალუტო რისკი .

გარდა ამისა, უარყოფითი ეკონომიკური ფაქტორების ჭრილობი, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიაზე უნდა განვიხილოთ ნაწილობრივ მიმდინარე საომარი ვითარება უკრაინაში და ისრაელში. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება პროცესებს. ამ ეტაპზე, ხელმძღვანელობის შეფასებით, აღნიშნულ საომარ მდგომარეობებს არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიაზე.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანიის ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. აღნიშნულ რისკს, ხელმძღვანელობის შეფასებით არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგანაც კომპანიის დებიტორები ძირითადად არიან პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც დროულად ფარავენ დავალიანებას.

საბაზრო რისკი - საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევეს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მაია პაპალაშვილი

შპს „პრესტიჟი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

გარემოს დაცვის საკითხები

გარემოს დაცვის კუთხით კომპანიის საქმიანობა რისკის შემცველი არ არის. საჭიროების შემთხვევაში, კომპანიის მიერ იდენტიფიცირებული წუნდებული მარაგების განადგურება ხდება საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკისა და ჩვენი უცხოელი პარტნიორების რეკომენდაციების მიხედვით, ამ პროცესში ჩართული თანამშრომლებისთვის უსაფრთხოდ და გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე.

რისკების მართვა

ნებისმიერი ბიზნეს-საქმიანობა არის ფინანსური რისკის შემცველი. ამისგან არც შპს „პრესტიჟი“ არ არის გათავისუფლებული. თუმცა, კომპანია ცდილობს ისე მართოს სხვადასხვა საშიშროებები, რომ შეინარჩუნოს მმართველობის მიერ განსაზღვრული განვითარების მთავარი კურსი და ამასთან კომპანიამ მიიღოს მოგება.

ბიზნესის მთავარი რისკი არის სავალუტო რისკი, რაც გულისხმობს, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო.

კომპანიის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე. კერძოდ, კომპანიის მომწოდებლები ძირითადად ევროპული პარფიუმერული კომპანიებია, რომელთა საოპერაციო ვალუტა ევროშია. შპს „პრესტიჟის“ ფუნქციონალური ვალუტა ლარია, შესაბამისად, ბუნებრივად წარმოიშობა გაცვლითი კურსის მერყეობის რისკი. ასევე, კომპანიის სესხები წარმოდგენილია ევროში, რაც აღრმავებს სავალუტო რისკს, თუმცა კომპანიამ 2024 წლის დასაწყისშივე მთლიანად დაფარა სასესხო ვალდებულებები.

კომპანიის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად ცდილობს თავიდან აიცილოს სავალუტო რისკი.

გარდა ამისა, უარყოფითი ეკონომიკური ფაქტორების ჭრილში, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიაზე უნდა განვიხილოთ ნაწილობრივ მიმდინარე საომარი ვითარება უკრაინაში და ისრაელში. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება პროცესებს. ამ ეტაპზე, ხელმძღვანელობის შეფასებით, აღნიშნულ საომარ მდგომარეობებს არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიაზე.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანიის ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.


ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. აღნიშნულ რისკს, ხელმძღვანელობის შეფასებით არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგანაც კომპანიის დებიტორები ძირითადად არიან პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც დროულად ფარავენ დავალიანებას.

საბაზრო რისკი - საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევეს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



მაია პაპალაშვილი